საზოგადოება

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წინააღმდეგ დავა დასრულდა

18:01 26-11-2013

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ-ის) წინააღმდეგ 3-წლიანი დავა დასრულდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" აღნიშნული პროფკავშირიდან აცნობეს , სასამართლო განხილვა _ ,,მარტოლეკი და სხვები საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წინააღმდეგ", დღეს დასრულდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანი მხარის მოთხოვნა, რომელიც პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის ყრილობის შედგების ბათილობას ითხოვდა. პედაგოგთა პროფკავშირის განმარტებით, სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარის სარჩელი სამართლებრივი არგუმენტებისა და მტკიცებულებების არქონის გამო არ დააკმაყოფილა. პროკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე, რომელიც 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე აირჩიეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ლეგიტიმურად ცნო.

,,შეგახსენებთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ 3 წლის წინ დაწყებული დავა ყოფილი ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და მათი წარმომადგენლების წერილებითა და საჯარო განცხადებებით დასტურდება. ყველა სასამართლო პროცესს, სამი წლის განმავლობაში, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დღევანდელ სასამართლო პროცესს ერვოკავშირის წარმომადგენელი ოლივერ რაიზნერი, ამერიკის სოლიდარობის პროგრამების დირექტორი, რობერტ ფილდინგი და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი დაესწრო. ოლივერ რაიზნერი და რობერტ ფილდინგი დამკვირებლის სტატუსით ასევე ესწრებოდნენ 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობას", _ აცხადებენ პედაგოგთა პროფკავშირში.

2010 წლის 24 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროკავშირის 121-მა დელეგატმა შეიტანა. თუმცა მოგვიანებით მათგან 94 მომჩივანმა დელეგატმა სარჩელი უკან გაიატანა. პროფკავშირში აცხადებენ, რომ აღნიშნული პირები ამჟამად აქტიურ პროფკავშირულ საქმიანობას ახორციელებენ.

"საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხსნილია ზეწოლა ორგანიზაციაზე და ჩვენ 30 000-ზე მეტ პედაგოგს აღვუდგინეთ წევრობა. მომჩივან მხარეს კი დარჩა სპმთპ-ის მხოლოდ ის ყოფილი დელეგატები, რომელთაც შექმნილი აქვთ პარალელური ფუნქციის ახალი ორგანიზაცია ე.წ. პროფკავშირი "ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი", _ განაცხადა სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

პროფკავშირის ინფორმაციით, მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იურიდიულ ინტერესზე. "ყრილობის ბათილობის შემთხვევაში რა სარგებელს მოუტანდა სასამართლო გადაწყვეტილება მომჩივან მხარეს?". მომჩივანმა მხარემ არგუმენტები ვერ დაასაახელა, ვინაიდან ისინი უკვე აღარ არიან პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ლიდერები და სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყვეტილი აქვთ ამ ორგანიზაციის წევრობაც.

ამათან, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ახალ გეგმიურ საარჩევნო ყრილობას 2014 წელს ჩაატარებს.

მასალის გამოყენების პირობები